



საქართველოს  
სადაზღვევო ჯგუფი

ტვირთის გადამზიდვისა და ექსპედიტორის  
პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

## T1 - ტვირთზე პასუხისმგებლობის დაფარვა

### 1. თქვენ დაზღვეული ხართ:

ტვირთის დანაკარგით ან დაზიანებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

### 2. წინამდებარე დაფარვით თქვენ არ ხართ დაზღვეულნი:

2.1 თუ თქვენი პასუხისმგებლობა დადგა/გაიზარდა:

2.1.1. თქვენი კლიენტის მიერ ტვირთის ღირებულების რეალურ ღირებულებაზე მეტად გაცხადებით.

2.1.2. კონოსამენტში ინფორმაციის გამოტოვებით ან არასწორად მითითებით.

2.1.3. საზღვაო გადაზიდვებისას თქვენი სუბ-კონტრაქტორის მიერ გაცემულ კონოსამენტსა და თქვენს მიერ გაცემულ კონოსამენტში ტვირთის წონის ან ერთეულის რაოდენობის სხვაობით

ან გადაზიდვის სხვა კონტრაქტში ან ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სხვა დოკუმენტაციაში.

2.2. ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან ან ნაღდ ფულთან/ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან;

2.3. ტვირთის აუხსნელი დანაკარგით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან;

2.4. ქურდობა განხორციელდა ღია ავტოსადგომიდან, რომელსაც არ ჰყავს დაცვა ან არ გააჩნია სათვალთვალო კამერები;

2.5. სატვირთო ავტომობილის გაუმართაობით.

### 3. დამოწმებული კონტრაქტები

თქვენ დაზღვეულნი ხართ მხოლოდ შემდეგი კონტრაქტების მიხედვით დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან:

- შესაბამისი სავალდებულო სატრანსპორტო კანონი ან კონვენცია, ან
- კონტრაქტი, რომელიც მოცემულია თქვენი დაზღვევის სერთიფიკატის “დამოწმებულ კონტრაქტებში”.

### 4. გამონაკლისი ტერიტორიები:

• თქვენ არ ხართ დაზღვეული არცერთი რისკისაგან, რომელიც მოხდება ნებისმიერ შემდეგ ტერიტორიაზე: აფხაზეთი; სამხრეთ ოსეთი; მთიანი ყარაბაღი; ინდონეზია; ჩრდილოეთ კორეა; უგანდა; მალი; კონგო; კამერუნი; ბურუნდი; ეკვადორი; კენია; ნეპალი; ერიტრეა; ღაზას სექტორი და ისრაელი 45 კმ ღაზამდე, ბეერშებას და აშდოთის ჩათვლით; ბანგლადეში; ლიბანი; ირანი; იემენი; ალჟირი; ზიმბაბვე; კოლუმბია; ბოლივია; შრი ლანკა; კოტ დევუარი (სპილოს ძვლის სანაპირო); ადენის ყურე; ჩადი; აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა; ეთიოპია; კონგო – კინშასა; გვინეა; სუდანი; ნიგერია; სომალი; ავღანეთი; პაკისტანი; ერაყი.

### 5. სპეციალური გამონაკლისი:

• საიუველირო ნაწარმი/ძვირფასი ლითონი/მარკები/მონეტები / კოლექციები / დოკუმენტები / ფასიანი ქაღალდები / პლატინა / ოქრო / ძვირფასი ქვები და სხვა მსგავსი ნაწარმი

- ხელოვნების ნიმუშები
- სუფთა ჯიშის ცხენები

• **საკუთარი ტვირთი**

**6. გამორიცხული ტვირთები**

- თხევადი ტვირთები მოთავსებული ფლექსიტანკებში.
- “განსაკუთრებული” ტვირთი – ტვირთი, რომლის გადაზიდვაზე გაფორმებული კონტრაქტი გავალდებულებთ თქვენ, აიღოთ პასუხისმგებლობა
  - თუკი არ მოხდა ტვირთის მიტანა კონტრაქტში მითითებულ ვადებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხისმგებლობა გამოითვლება ტვირთის გადაზიდვის ფრაქტიდან, ანდა- ზარალზე ან დაზიანებაზე ფინანსური პასუხისმგებლობის ლიმიტის გარეშე, რომელიც დაფუძნებულია ტვირთის წონაზე ან შეფუთვების რაოდენობაზე.

**T2-დაფარვა შეცდომაზე პასუხისმგებლობისაგან**

**1. თქვენ დაზღვეული ხართ:**

პასუხისმგებლობისგან, რომელიც თქვენ დაგეკისრათ:

- 1.1. თქვენი კლიენტის მიერ ფინანსური ზარალის შედეგად, რომელიც გამოწვეულია:
  - 1.1.1 თქვენს მიერ კონტრაქტში გათვლისწინებული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებით;
  - 1.1.2 თქვენს მიერ ტვირთის კონტრაქტში გათვლისწინებული ვალდებულებების საწინააღმდეგოდ მიწოდებით;
  - 1.1.3 თქვენს მიერ კონტრაქტით გათვალსწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა – მაგრამ არ იფარება ფინანსურ ზარალზე პასუხისმგებლობა, რომელიც გამოწვეულია ტვირთის ან ქონების დანაკარგით/დაზიანებით;
- 1.2. ტვირთის დაკარგვით ან დაზიანებით – იმ პირობით თუ თქვენი პასუხისმგებლობა გამოწვეულია ან გაზრდილია ნებისმიერ კონოსამენტში, სხვა საგადასაზიდო საბუთში ან ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დოკუმენტაციაში მცდარი ან გამოტოვებული ინფორმაციით.

**2. წინამდებარე დაფარვით თქვენ არ ხართ დაზღვეულნი:**

თუ თქვენი პასუხისმგებლობა დაგვიანებაზე გამოწვეულია/გაზრდილია თქვენი კლიენტის სპეციალური ინსტრუქციით.

T1-ის პირობების გავრცელება წინამდებარე დაფარვაზე აგრეთვე გავრცელდება თავი T1-ის შემდეგი პირობები:

- 2.1.1 გაცხადებული ღირებულება
- 2.1.3 ტვირთის აღწერა
- 2.2. ძვირფასი ტვირთი
- 2.3. აუხსნელი დანაკარი
3. დამოწმებული კონტრაქტები
4. გამონაკლისი ტერიტორიები
5. სპეციალური გამონაკლისი

### T3 - მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაფარვა

#### 1. თქვენ დაზღვეული ხართ:

1.1 არასახელშეკრულებო ვალდებულებებისგან, რომლებიც გამოწვეულია:

1.1.1. მესამე პირთა ქონების დაზიანებით/განადგურებით;

1.1.2. მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანით;

2. წინამდებარე დაფარვით თქვენ არ ხართ დაზღვეულნი შემდეგი პასუხისმგებლობისაგან.

2.1. თქვენს ან თქვენი თანამშრომლის მიერ ისეთი საგზაო ავტომობილის ექსპლოატაციით, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას და/ან ლიცენზირებას;

2.2. აშშ/კანადის ტერიტორიაზე თქვენი\* სატვირთო ავტომობილის ან მისაზმელის საერთო მოხმარების გზებზე გამოყენებისას მომხდარი შემთხვევით.

2.3. თქვენს საკუთრებაში არსებული გადაზიდვის ან ჩატვირთვა-გადმოტვირთვის აღჭურვილობის დაზიანება/განადგურება;

2.4. მიწის ან ნებისმიერი სახის უძრავი ქონების მესაკუთრეობით ან მოიჯარეობით;

\*საკუთარი, ლიზინგით ან იჯარით აღებული

### T4 - საჯარიმო სანქციების დაფარვა

#### 1. თქვენ დაზღვეული ხართ:

1.1. შემდეგი რისკისგან, რომელიც გამოწვეულია მუხლ 1.2-ში მოცემული რეგულირების დარღვევისგან:

1.1.1 თქვენი პასუხისმგებლობა საჯარიმო სანქციებზე და/ან გადასახდელზე, რომლებიც თქვენ დაგკისრათ სახელმწიფოს მიერ და რომელიც არ იქნებოდა გადასახდელი რომ არ დარღვეულიყო მუხლ 1.2-ში მოცემული რეგულირება.

1.2. მუხლ 1.1-ში მოცემული რეგულირება ეხება:

1.2.1. უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

1.2.2. უსაფრთხოება/ანტი-ტერორიზმი

1.2.3. დაბინძურება, თუ იგი გამოწვეულია ტვირთის ან აღჭურვილობის განადგურებით ან დაზიანებით.

#### 2 - წინამდებარე დაფარვით თქვენ არ ხართ დაზღვეული:

ჯარიმების ან გადასახდელებისაგან, რომლებიც თქვენ დაგკისრათ სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ისეთი რეგულაციის დარღვევის გამო, რომელიც არ არის მითითებული 1.2 მუხლში;

3 - T1-ის პირობების გავრცელება წინამდებარე დაფარვაზე აგრეთვე გავრცელდება თავი T1-ის შემდეგი პირობები:

2.1.1. გაცხადებული ღირებულება

2.1.3. ტვირთის აღწერა

2.2. ძვირფასი ტვირთი

## 2.3. აუხსნელი დანაკარი

3 - დამოწმებული კონტრაქტები

4 - გამონაკლისი ტერიროტიები

5 -სპეციალური გამონაკლისი

### T5-ხარჯების დაზღვევა

1. თქვენ დაზღვეული ხართ:

შემდეგი ხარჯებისგან:

1.1. გამოკვლევა და დაცვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია იმ შემთხვევის გარემოებების გამოკვლევასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პრეტენზია წინამდებარე დაზღვევით და შეიძლება დაკავშირებული იყოს დამზღვევის ინტერესის დაცვასთან (სასამართლო ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ჩათვლით).

1.2. ზარალის შემცირება ისეთი ხარჯები რომლის გაწევაც თქვენ მოგიწიათ, რათა შეგემცირებინათ ზარალი და რამაც საბოლოო შედეგად რეალურად შეამცირა დამდგარი ზარალი.

1.3. განადგურება ისეთი დამატებითი ხარჯები, რომლებსაც თქვენ არ გასწევდით რომ არ დამდგარიყო სადაზღვევო შემთხვევა, კერძოდ შემთხვევის შემდეგ ტვირთის ან დაზღვეული აღჭურვილობის/ქონების გასანადგურებლად/ექსპლოატაციიდან ამოსა.ებად გაწეული ხარჯები.

1.4. კარანტინი და დეზინფექცია დამატებით გამოწვეული ხარჯები, გარდა ბიზნესის ნორმალური მსვლელობის დროს გასაწევი ხარჯებისა.

1.5. მცდარი მიმართულებით გაგზავნა დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მცდარი მიმართულებით გაგზავნილი ტვირთის სწორ მისამართზე გაგზავნით – კალკულაცია განხორციელდება ქვევით მოყვანილი მუხლი 3-ის მიხედვით.

1.6. საერთო ზარალი და ნარჩენები ტვირთის გადარჩენის მიზნით გასაწევი ხარჯი, რომელზეც თქვენ აგებთ პასუხს საერთო ავარიის შემთხვევაში და რომელზეც არ არის პასუხისმგებელი თქვენი კლიენტი.

1.7. მოუკითხავი ტვირთი დამატებითი ხარჯები, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ მიმღების მიერ დანიშნულების პუნქტში ტვირთის მოუკითხაობით, მინუს:

- ხარჯები, რომელსაც თქვენ გასწევდით ნებისმიერი შემთხვევაში;
- ტვირთის გაყიდვისგან მიღებული შემოსავალი;
- თანხა, რომელსაც თქვენ მიიღებთ ნებისმიერი სხვა პირისაგან;

1.8. გადაზიდვის დასრულება ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია, იმ ხარჯებთან დამატებით რომლებსაც თქვენ გასწევდით ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი კონტრაქტის ვალდებულების შესრულების მიზნით რათა მიგეტანათ ტვირთი დანიშნულების ადგილას – და რომელიც გამოწვეულია უშუალოდ თქვენი სუბ-კონტრაქტორის გაკოტრებით.

2. დამოწმება/შეთანხმება გარდა მუხლ 1.6-ში მოცემული ხარჯებისა, თქვენ დაზღვეული ხართ მხოლოდ იმ პირობით, თუ:

2.1. ხარჯები წინასწარ შეთანხმებულია მზღვეველთან, ან

2.2. მზღვეველი მიიჩნევს, რომ ხარჯები იყო მიზანშეწონილი და გონივრული

### 3. ტვირთის მცდარი მიმართულებით გაგზავნის ხარჯების კალკულაცია

3.1 ტვირთის მცდარი მიმართულებით გაგზავნის ხარჯების კალკულაცია ხორციელდება შემდეგნაირად:

- ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია თქვენს მიერ თავდაპირველი მიღების ადგილიდან ტვირთის მცდარი მიმართულებით გაგზავნით, პლიუს

- ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მცდარი დანიშნულების პუნქტიდან სწორ მისამართზე გადაგზავნით, მინუს

- ფრახტი და სხვა ხარჯები, რომლებიც თქვენ უნდა მიიღოთ გადაზიდვისთვის

3.2. გადაზიდვა მცდარი დანიშნულების პუნქტიდან სწორ მისამართზე არ განხორციელდება საჰაერო ტრანსპორტით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც:

- თავდაპირველი გადაზიდვა შეთანხმებული იყო განხორციელებულიყო საჰაერო ტრანსპორტით, ან

- მზღვეველი არის თანახმა

### საერთო პირობები და გამონაკლისები

1-სადაზღვევო პერიოდი თქვენ დაზღვეული ხართ მხოლოდ დაზღვევის პერიოდში მომხდარი ზარალებისაგან.

2-რისკების ორმაგი დაფარვა და დაზღვეული საქმიანობის სახეობები

2.1. როდესაც შემთხვევა შესაძლოა ხვდებოდეს ერთზე მეტი დაფარვის ქვეშ, მისი რეალური დაფარვა განხორციელდება იმ დაფარვით რომელიც ყველაზე უფრო პირდაპირ ეხება მას;

2.2. თქვენს სერთიფიკატში ან ამ პოლისში მითითებულ აშკარა გამონაკლისს ან შეზღუდვას მიენიჭება უპირატესობა ამავე პოლისით იგივე რისკის დაფარვის შემთხვევაში;

2.3. თუ საქმიანობის სახეობა უშუალოდ არის გამორიცხული პოლისით თქვენ არ ხართ დაზღვეული მისგან წარმოშობილი რისკებისაგან – მაშინაც კი როდესაც ამგვარი რისკები შესაძლოა გამოწვეული იყოს დაზღვეული საქმიანობის შედეგად.

### 3. ფრანშიზა

3.1. სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებულია "მზღვეველის" მიერ არანაზღაურებადი ზიანის ოდენობა \_ "ფრანშიზა".

3.2. ფრანშიზა შეიძლება დადგინდეს ზიანის ყველა და ცალკეულ სახეობაზე.

3.3. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ვარდება ერთზე მეტი დაფარვის ქვეშ, თითოეულ დაფარვაზე მიყენებული იქნება ცალკეული და შესაბამისი ფრანშიზა.

### 4. პასუხისმგებლობის ლიმიტი

4.1. პასუხისმგებლობის ლიმიტი - ეს არის მხარეების მიერ განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის ფარგლებში მზღვეველი ვალდებულია იღებს გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება.

4.2. პასუხისმგებლობის ლიმიტი შეიძლება განისაზღვროს როგორც ჯამურად პოლისისათვის ასევე თითოეულ შემთხვევაზე, თითოეულ რისკზე, ტვირთების და ქონების ცალკეული კატეგორიებისათვის მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობაზე.

4.3. არც ერთ შემთხვევაში ჯამური ანაზღაურება არ გადააჭარბებს თქვენს პოლისში მითითებულ ჯამურ ლიმიტს.

4.4. ლიმიტები ვრცელდება დამზღვევზე და ნებისმიერ თანადაზღვეულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთობლივად.

5. ანაზღაურების შემცირება ანაზღაურება შემცირდება:

5.1. იმ თანხით, რომელიც თქვენ მიიღეთ ან რომელსაც თქვენ მიიღებთ ნარჩენების რეალიზების საშუალებით;

5.2. ნარჩენ ქონებაში თქვენი ინტერესის ოდენობით.

6. საერთო გამონაკლისები თქვენ არ ხართ დაზღვეული შემთხვევებისაგან რომლებიც გამოწვეულია ან გაზრდილია:

6.1. თქვენი ან თქვენი თანამშრომლის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით / დაუდევრობით ჩადენილი ქმედებით.

6.2. დამზღვევის ან მისი თანამშრომლის მიმართ დაკისრებული ნებისმიერი საჯარიმო სანქციით, ასევე პირგასამტეხლობით, ჯარიმებით და სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმებით ან სხვა სახის ფულადი სანქციებით;

6.3. სუბროგაციის უფლებაზე უარის განცხადებით.

6.4. ბირთვული აფეთქების, რადიაციის და რადიოაქტიული დაბინძურების პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედებით

6.5. დაბინძურებით, ნებისმიერი სახის გარემოსთან დაკავშირებული რისკით

6.6. ნარჩენების დამარხვით, სანაგვე საყრდენების გამოყენებით ან ოპერირებით ან ნარჩენების განადგურებით, მაგრამ გარდა ტვირთის ნარჩენების განადგურებამდე მისი გადაზიდვის ან შენახვისა.

6.7. თქვენი გადახდისუუნარობით ან/და გაკოტრებით.

6.8. არაკანონიერი ქმედებით, ან ქმედებით ჩადენილი ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ან სხვა ფსიქოტროპული თუ კანონით აკრძალული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ან სხვა მიზეზით არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას.

6.9. თქვენი ინტერესით საზღვაო/საჰერო ხომალდში და მის მენეჯმენტში, ნავიგაციაში და ექსპლუატაციაში – თქვენ გაქვთ ინტერესი თუ ფლობთ, გასცემთ იჯარით ან ახორციელებთ საზღვაო/საჰერო ხომალდის ექსპლუატაციას

6.10. აეროპორტის მენეჯმენტი/ექსპლუატაციით – ან ადგილი/შენიშვნა სადაც საჰაერო ხომალდი ახორციელებს დაფრენას ან მენეჯირებას ან არის გაჩერებული, უკეთდება რემონტი ან სხვა ტერქნიკური მომსახურება

6.11. ავტომობილის მართვით არაფხიზელ მდგომარეობაში (ალკოჰოლით, ინტოკსიკაციით ან მსგავსი ეფექტის მქონე ნებისმიერი აგენტი), ან არაუფლებამოსილი (მართვის უფლების გარეშე) მძღოლის მიერ.

- 6.12. თქვენს მიერ აეროპორტის ან აეროდრომის მართვა/ოპერირებით (ან ნებისმიერი ადგილი, შენობა ან სათავსო სადაც ფრინდება, ინახება ან შეკეთდება საჰაერო ხომალდი)
- 6.13. პასუხისმგებლობა ისეთი ორგანიზაციის ან კომპანიის მიმართ რომელსაც ფლობთ თქვენ ან გააჩნიათ საერთო მფლობელი. ფლობა ნიშნავს 50 პროცენტზე მეტი წილის ფლობას.
- 6.14. ომით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა), რევოლუციით, აჯანყებით, შინაომით, ან საომარი ქმედებებით, დაუმორჩილებლობით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპაციული ძალაუფლებრივი ქმედებით, დაპატიმრებით, შეპყრობით, სამხედროების ქმედებებით, კონფისკაციით, რეკვიზიციით, თავისუფლების შეზღუდით მიღებული შედეგებით, მუქარით, ტერორისტული აქტით ან სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, ან ან ნებისმიერი პირის ნებისმიერი ქმედებით, რომელიც მოქმედებს ნებისმიერი ორგანიზაციის სახელით ან დაკავშირებულია ორგანიზაციასთან, რომელიც მიზნად ისახავს მისი დე ფაქტო თუ კანონიერი მთავრობის ძალით დამხობას ან მასზე ტერორიზმით ან ძალადობით გავლენას.
- 6.15. სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, შტორმი, წყალდიდობა, მეხის დაცემა, დიდთოვლობა და ა.შ) და სხვა გადაულახავი ძალის ზემოქმედებით (ფორს მაჟორი, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან ქონების ან უფლების კონფისკაციით, შეზღუდვით, განადგურებით.)
- 6.16. ნებისმიერი სახის სახელშეკრულებო ვალდებულებით, მათ შორის მაგრამ არა მხოლოდ, პირობით – აუნაზღაურდეს მესამე პირს ქონების დანაკარგი ან დაზიანება წინასწარ შეთანხმებული ოდენობით;
- 6.17. დაზღვეული სატვირთო ავტომობილის გაუმართაობით ან ავტომობილის ყალბი მოწმობით/დოკუმენტით;
- 6.18. ქურდობისას - თუ ქურდობა განხორციელდა ღია ავტოსადგომიდან, რომელსაც არ ჰყავს დაცვა ან არ გააჩნია სათვალთვალო კამერები;
- 6.19 საბაჟო პასუხისმგებლობით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის დაფარულია ექსპედიტორთა და ტერმინალების და საწყობის ოპერატორების ქველიმიტის ფარგლებში;
- 6.20 დაზღვეული საგნის ჩვეულებრივი/ზუნებრივი გაჟონვით, წონის ან მოცულობის ბუნებრივი კლებით / შემცირებით და/ან ჩვეულებრივი ცვეთით;
- 6.21 დაზღვეული საგნის არასაკმარისი ან შეუსაბამო შეფუთვით, ან მარკირებით ან მომზადებით (ამ გამონაკლისის მიზნებისათვის „შეფუთვა“ ჩაითვლება განთავსების სახით კონტეინერში (ან ლიფტვანში);
- 6.22 დაზღვეული საგნის თანდაყოლილი წუნით ან მდგომარეობით;
- 6.23 კონკრეტული სახის საქონლის ტრანსპორტირებით, რომლისთვისაც ავტომობილი არ არის შესაბამისი ან არ აკმაყოფილებს ტექნიკურ სტანდარტებს;
- 6.24 ტვირთის და ტრანსპორტის უყურადღებოდ (მძღოლის თვალთახედვის არეალის გარეთ) მიტოვებით, შემდეგი პირობების დარღვევისას:



(i) ტრანსპორტის პარკირება/გაჩერება ნებადართულია სატვირთო მანქანებისთვის მოწყობილ პარკინგზე, დაცულ ავტოსადგომზე, ბენზინგასამართი სადგურების გაჩერებაზე, საგზაო კონტროლის (პოლიციის) საგუშაგოებზე (გარდა ტექნიკური პრობლემების გამო ან დაზღვეული ტვირთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად გაჩერებისას, სპეციალური ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად, საწვავის შესავსებად ან სტივიდორული სამუშაოებისთვის).

6.25 ტრანსპორტის შეუსაბამო დატვირთვით;

6.26 დამზღვევის კონტროლს მიღმა არსებული საქონლის ფარული წუნით ან თანდაყოლილი თვისებებით;

6.27 ტრანსპორტირებული პირების სარჩელები;

6.28 ნებისმიერი პასუხისმგებლობით, რომელიც გადააჭარბებს გადამზიდვების, ექსპედიტორების პასუხისმგებლობას;

6.29 საზღვაო ან /და საავიაციო მარა ან/ და პასუხისმგებლობა, კოსმოსი და კოსმოსური რისკები;

6.20 მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა, მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევა, ავტომობილის მარა.

ასევე თქვენ არ ხართ დაზღვეული პასუხისმგებლობისაგან არაპირდაპირ ზარალზე (მაგ. დაკარგული სარგებელი) მაშინაც კი, როცა ის გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევით.

წინამდებარე პირობებით თქვენ არ ხართ დაზღვეული ნებისმიერი შემთხვევისაგან ან შემთხვევის ნაწილისაგან, რომელიც გამოწვეულია თქვენი წიგნაკებთან დაკავშირებით.

7. ზარალის თავიდან აცილება

7.1 თქვენ ვალდებული ხართ:

7.1.1. ჩვენი მოთხოვნისამებრ საშუალება მოგვცეთ შევამოწმოთ თქვენი აღჭურვილობა, ქონება და საქამიანობა და მოგვაწოდოთ თქვენი კონტრაქტის ასლები

7.1.2. დაიცვათ მარეგულირებელი ნორმები რომლებიც ვრცელდება თქვენს აღჭურვილობაზე

7.1.3. არ გადატვირთოთ (ზედმეტი წონით ან მუშაობის რეჟიმით) თქვენი აღჭურვილობა განზრახ – გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ხდება ინსპექტირება/ტესტირება.

7.1.4. დაიცვათ ჩვენს მიერ მოცემული ზარალის თავიდან არიდების მოთხოვნები.

7.1.5. იხმაროთ ყველა ღონე რათა დაიცვათ საშიშ ტვირთთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმები.

7.2 თუ თქვენ არ დაიცავთ ზემოაღნიშნულ 7.1.1-7.1.4 მუხლებს:

7.2.1. ჩვენ უფლება გვაქვს შეგიჩეროთ დაზღვევა სრულიად ან ნაწილობრივ სანამ არ იქნება დაცული აღნიშნული პირობა

7.2.2. ჩვენ უფლება გვაქვს შევამციროთ ან უარი განვაცხადოთ ზარალზე რომელიც მიგვაჩნია რომ გამოწვეულია აღნიშნული მუხლების მოთხოვნების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით

8. ორმაგი დაზღვევა თუ თქვენ ერთი და იგივე რისკისგან დაზღვეულნი ხართ ჩვენთან და სხვა მზღვეველთან ერთდროულად, ჩვენ არ დავფარავთ არანაირ პრეტენზიას იმ მოცულობით რა მოცულობითაც იგი იფარება სხვა მზღვეველის მიერ.

9. ექსპედიტორის პასუხისმგებლობა ტვირთზე პასუხისმგებლობის სპეციალური ლიმიტი – 8.33 SDR დაზიანებული ან დაკარგული ტვირთის თითო კილოგრამზე – გავრცელდება ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც წარმოიშობა გადაზიდვის ან ექსპედიტირების კონტრაქტიდან.

10. დაუზღვეველი სუბკონტრაქტორები თქვენ არ ხართ დაზღვეული ზარალებისაგან, რომლებიც გამოწვეულია (ან მისი მოცულობა გაზრდილია) თქვენს მიერ დაქირავებული სუბ-კონტრაქტორის მიერ, რომელსაც არ აქვს დაზღვევა (საქმიანობის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევა), რომელიც:

- ექვემდებარება ლიმიტს, რომელიც არ არის 200'000 აშშ დოლარზე ნაკლები;
- მთავრდება სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ.

11. ტვირთის გაცემა არაუფლებამოსილ მიმღებზე თქვენ არ ხართ დაზღვეული იმ ზარალებისგან, რომლებიც გამოწვეულია ტვირთის არაუფლებამოსილ მიმღებზე გაცემით ან დანიშნულების ადგილას საბაჟო წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თქვენ ასრულებთ შემდეგ პირობებს:

ა) თქვენ წერილობით ფორმაში აცნობოთ კლიენტს იმის შესახებ, რომ თქვენ ითხოვთ შემდეგი პირობების დაცვას:

- ტვირთის მიმღების ზუსტი მისამართის მოწოდება;
- წერილობით ფორმაში დამატებითი ინსტრუქციების მოწოდება, რომელიც საშუალებას მისცემს მძღოლს იპოვოს ტვირთის მიმღების მისამართი და სწორად მოახდინოს მისი იდენტიფიკაცია.
- ტვირთის მიმღების მიერ მინდობილობის წარდგენა წერილობით ფორმაში.

ბ) თქვენ აძლევთ კლიენტს წერილობით შეტყობინებას იმის შესახებ, რომ თუ მის მიერ ზემოხსენებული ინფორმაცია არ იქნება მიწოდებული ან ინფორმაცია იქნება მცდარი, თქვენ გეხსნებათ ნებისმიერი პასუხისმგებლობა რომელიც წარმოიშობა ამის შედეგად.

გ) თქვენ უნდა განახორციელოთ ტვირთის მიწოდება ზემოაღნიშნული ინსტრუქციების შესაბამისად.

დ) თქვენ უნდა მიიღოთ ტვირთის მიმღები პირისგან ტვირთის მიმღები პირის ბეჭდით დამოწმებული მინდობილობა.

ე) თქვენ უნდა მოითხოვოთ საპასპორტო მონაცემები ტვირთის მიმღები პირისგან და დაავალოთ მძღოლს გადაამოწმოს ეს მონაცემები პასპორტის საშუალებით.

თუ თქვენ ახორციელებთ აღნიშნულ გადაზიდვას სუბ-კონტრაქტორის საშუალებით, თქვენ უნდა იხმაროთ ყველა საშუალება რათა სუბ-კონტრაქტორმა შეასრულოს ზემოაღნიშნული პუნქტები „ბ-ე“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მიაწოდოთ სუბ-კონტრაქტორს წერილობითი შეტყობინება, რომ ამგვარი პირობების შესრულება აუცილებელია.

12. საბაჟო წესების დარღვევა არ არის დაზღვეული თქვენი პასუხისმგებლობა საბაჟო ჯარიმებზე ან სხვა მსგავს გადასახდელებზე, რომელიც გამოწვეულია რომელიმე

ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობის დარღვევით, თუ დამტკიცდა, რომ თქვენ არ მიიტანეთ ამ ქვეყნის იმპორტირებული ტვირთი იმ საბაჟო ტერმინალზე, რომელიც აღნიშნულია ტვირთთან არსებულ დოკუმენტებში.

თუ ამგვარი ტერმინალი არ არის აღნიშნული არანაირ დოკუმენტში, ან თუ არსებობს სხვა მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს ამ მოთხოვნის შესრულებას, თქვენ უნდა შეათანხმოთ მიწოდება საბაჟო ტერმინალზე იმ ქვეყნის საბაჟო ორგანოებთან და მიაწოდოთ ტვირთი ამ შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე პირობა არ ვრცელდება, თუ ტვირთის მიტანა დანიშნულ საბაჟო ტერმინალზე ან სხვა საბაჟო ვალდებულების შესრულება, შეუძლებელია უშუალოდ ტვირთის ქურდობის ან ძარცვის მიზეზით.

### 13. დამოწმებული კონტრაქტები

- FITA-ს კონოსამენტი (სატრანსპორტო ოპერატორებისათვის)
- ექსპედიტორების/გადამზიდველების ნაციონალური ასოციაციის პირობები (სატრანსპორტო ოპერატორებისათვის)
- TT CLUB-ის კონოსამენტი (სატრანსპორტო ოპერატორებისათვის)
- TT CLUB-ის სტანდარტული ხელშეკრულებები (სატრანსპორტო ოპერატორებისათვის)
- ნებისმიერი საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციები ან ეროვნული სატრანსპორტო კანონმდებლობა, რომელიც სავალდებულო წესით უნდა იყოს შესრულებული.
- TT CLUB-ის ნებისმიერი სტანდარტული ხელშეკრულება
- ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება, რომელიც წერილობით ფორმაში იქნება შეთანხმებული მზღვეველთან.

### პრეტენზიები

#### 1. შეტყობინება

1.1. თქვენ ვალდებული ხართ შეატყობინოთ მზღვეველს ისე როგორც აღნიშნულია მუხლ 1.2- ში და ისე როგორც აღწერილია თქვენს სერთიფიკატში ნებისმიერი შემთხვევის შესახებ რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პრეტენზია წინამდებარე დაზღვევით ან ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ რომელიც წაყენებულია თქვენს წინააღმდეგ და რომლისგანაც თქვენ ხართ (ან შეიძლება იყოს) დაზღვეულნი;

1.2. ზემოაღნიშნულ მუხლ 1.1-ში შეტყობინება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ და ნებისმიერ შემთხვევაში მაქსიმალურად სწრაფად, მაგრამ ნებისმიერი შემთხვევიდან ან პრეტენზიიდან არაუგვიანეს ერთი კვირის გასვლის შემდეგ. ქურდობის შეტყობინება მძღოლები და თქვენი სხვა თანამშრომლები ვალდებულნი არიან შეგატყობინონ თქვენ ტვირთის ნებისმიერი დანაკარგის შესახებ, რომელიც გამოწვეულია ქურდობის ან ძარცვის შედეგად. თუ თქვენ მიიღებთ ამგვარ შეტყობინებას მძღოლისაგან ან სხვა თანამშრომლისგან, თქვენ ვალდებულნი ხართ დაუყოვნებლივ შეატყობინოთ ამის შესახებ მზღვეველს. ყველა ამგვარი შეტყობინება

მიღებულ უნდა იქნას მზღვეველის მიერ შემთხვევიდან 24 სთ-ის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მზღვეველი აღიარებს, რომ გარკვეული გარემოებების გამო შეტყობინების მიწოდება შეუძლებელი იყო აღნიშნულ დროში. ამგვარი გარემოებების შემთხვევაში, შეტყობინება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად.

2. დამზღვევის ვალდებულებებისმიერი შემთხვევის ან/და პრეტენზიის დადგომის შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ:

2.1. მიიღოთ ყველა შესაძლებელი ზომა რათა თავიდან აიცილოთ ან შეამციროთ სადაზღვევო შემთხვევა ან ზარალის ოდენობა;

2.2. გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პრემია შესაბამისი ოდენობით და გრაფიკით, როგორც ეს მითითებულია სადაზღვევო პოლისში/სერტიფიკატში.

2.3. დაუყოვნებლივ შეატყობინოთ შემთხვევის შესახებ მესამე პირს, რომელიც შეიძლება იყოს პასუხისმგებელი;

2.4. განახორციელოთ ყველა ღონისძიება რათა მიიღოთ მაქსიმალური ანაზღაურება მესამე პირთაგან და თავიდან აიცილოთ ყველანაირი დაყოვნება მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მესამე პირმა თქვენს წინააღმდეგ აღძრას პრეტენზია ან შეგებებული სარჩელი.

2.5. ითანამშრომლოთ მზღვეველთან; მაგალითად, ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებით და ექსპერტიზის/მოკვლევის ჩატარებისას ხელშეწყობით.

2.6. არ აღიაროთ პასუხისმგებლობა ან დაარეგულიროთ ზარალი მზღვეველისგან წინასწარი თანხმობის გარეშე.

3. - ანაზღაურებაზე უარის თქმა მზღვეველს უფლება აქვს უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე ან შეამციროს ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა თუ თქვენ ვერ შეძლებთ შეასრულოთ ზემოაღნიშნული 1 და 2 მუხლები, გარდა იმ შემთხვევებისა როცა თქვენ ყოველივე იღონეთ მათ შესასრულებლად, მაგრამ თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ეს შეუძლებელი გახდა.

4. მზღვეველს უფლება აქვს:

4.1. მართოს ნებისმიერი პრეტენზია ან პროცესი რომელიც დაკავშირებულია იმ რისკთან რომლისგანაც თქვენ ხართ ან შეიძლება იყოს დაზღვეულნი;

4.2. თავიანთი შეხედულებისამებრ დაარეგულიროს, დათანხმდეს ან მართოს პრეტენზია/პროცესი როგორც ეს მოცემულია ზედა პუნქტ 4.1-ში

4.3. ნებისმიერ დროს დანიშნოს (და აგრეთვე შეუწყვიტოს უფლებამოსილება) - იურისტი, ექსპერტი და სხვა პირები რომელნიც მოქმედებენ თქვენი სახელით იმ შემთხვევასთან დაკავშირებით რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი.

4.4. მოითხოვოს ზემოაღნიშნული 4.3 პუნქტის მიხედვით დანიშნული პირებისგან შესაბამისი კონსულტაცია, დოკუმენტაცია და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

## დაზღვევის წინაპირობები

1 - წინაპირობა ამ დაზღვევის წინაპირობა არის რომ თქვენ საქმიანობას წარმოადგენს ტვირთის ტრანსპორტირების ორგანიზება (ექსპედიტირება) ან/და უშუალოდ შესრულება;

## **2 - ინფორმაცია**

2.1. თქვენ ვალდებულებას იღებთ, რომ მზღვეველის მიერ სადაზღვევო განაცხადის საფუძველზე მოთხოვნილი და მიღებული ინფორმაცია არის სრული და ზუსტი, და მზღვეველს აგრეთვე მიეწოდა ყველა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

2.2. ზემოაღნიშნულ პუნქტ 2.1-ში მოცემული თქვენი ვალდებულება აგრეთვე ვრცელდება როდესაც:

2.2.1 სადაზღვევო პირობებში შედის შესწორება;

2.2.2 ხდება პოლისის განახლება – იმისდა მიუხედავად გადაწყდა თუ არა პოლისში ცვლილებების შეტანა;

2.3. თუ თქვენ არ ასრულებთ ზემოაღნიშნულ 2.1-2.2 პუნქტებში მოცემული პირობებს ჩვენ უფლება გვაქვს გავაუქმოთ დაზღვევა;

## **3 - მნიშვნელოვანი ცვლილებები**

3.1. თქვენ მზღვეველს დროულად უნდა შეატყობინოთ შემდეგი ინფორმაცია:

3.1.1. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება/დამატებითი მონაცემები უკვე მიღებული ინფორმაციაზე დამატებით;

3.1.2. ნებისმიერი გაერთიანება, შერწყმა ან დაყოფა რომელიც გეხებათ;

3.1.3. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

3.2 3.1. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ შესაძლებელია:

3.2.1. უარი განვაცხადოთ დაზღვევაზე

3.2.2. უარი განვაცხადოთ პრეტენზიაზე, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის არასწორად/არაზუსტად მოწოდების შემთხვევებთან ან/და გარემოებებთან.

3.3. თუ მზღვეველმა მიიჩნია, რომ 3.1 მუხლში აღნიშნული ინფორმაცია უარყოფითად მოქმედებს თქვენი დასაზღვევი რისკის ხასიათზე, უფლება აქვს 14 დღიანი შეტყობინების ვადის დაცვით გაგიუქმოთ დაზღვევა.

## **4. დამზღვევი და თანადაზღვეულები**

4.1. სადაზღვევო სერთიფიკატით შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ერთი დამზღვევი. ნებისმიერი სხვა დაზღვეული წინამდებარე პოლისის მიხედვით მიიჩნევა თანადაზღვეულად.

4.2. თანადაზღვევაზე განმცხადებელი

4.2.1. ვალდებულია დაიცვას 2.1 მუხლში არსებული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია უარი ეთქვას დაზღვევაზე როგორც დაზღვეულს, ასევე თანადაზღვეულს.

4.2.2. უნდა იყოს დამზღვევის საქმიანობასთან უშუალო კავშირში, და დამზღვევი უნდა მოქმედებდეს როგორც მისი აგენტი.

4.3. თუ მზღვეველი თანახმა არის თანადაზღვევაზე:

4.3.1. თანადაზღვეულის მიმართ გავრცელდება დამზღვევის სადაზღვევო პირობების ყველა მუხლი.

4.3.2. თანადაზღვეული იქნება დაზღვეული მხოლოდ იმ რისკებისაგან, რომლისგანაც თავად დამზღვევი არის დაზღვეული სადაზღვევო პოლისის მიხედვით.

4.3.3. წინამდებარე დაზღვევით უფლება აქვთ ისარგებლონ მხოლოდ იმ მხარეებმა, რომლებიც უშუალოდ არიან დასახელებულნი სერთიფიკატში/პოლისში, როგორც დამზღვევი/დაზღვეული/თანადაზღვეული; არ არის ნებადართული წინამდებარე დაზღვევით სარგებლიანობის გადაცემა ნებისმიერ სხვა მხარეზე.

## 5. დაზღვევის შეწყვეტა

5.1. სადაზღვევო დაფარვა შეწყდება:

5.1.1. საწარმოს დახურვის ან გაკოტრების შემთხვევაში

5.1.2. დაზღვეული საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში

5.1.3. თქვენს მიერ სადაზღვევო ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში.

## 6. სადაზღვევო პრემია

6.1. პრემია შეიძლება იყოს:

- განსაზღვრული ბრუნვიდან ტარიფის მეშვეობით და თავდაპირველი გადასახადის სახით მოგეთხოვებოდეთ დეპოზიტის გადახდა. პრემიის გადაანგარიშება ხდება სადაზღვევო პერიოდის ამოწურვის დროს (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული თვენს სერთიფიკატში).

- განსაზღვრული ფიქსირებული თანხის ოდენობით

- ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტების ნებისმიერი კომბინაცია იმ შემთხვევაში თუ თქვენი პრემია განსაზღვრულია ტარიფის მეშვეობით თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე მოგვაწოდოთ თქვენს მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ბოლო კალენდარული წლის რეალიზაციის მონაცემები (დეკლარაციების ასლები).

## 7. გაუქმება

„დამზღვევის“ მიერ წინამდებარე „სადაზღვევო პოლისის“ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში „დამზღვევი“ ვალდებულია წერილობით შეატყობინოს „მზღვეველს“ სადაზღვევო პოლისის გაუქმების შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე, დაუბრუნოს „მზღვეველს“ დაზღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად და გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული და სრულად გამოუმუშავებელი პრემია (თუ დაზღვევის პერიოდში მზღვეველის მიერ გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება). იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის პერიოდში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაცემულა, დამზღვევის მიერ გადაიხდება სრულად გამოუმუშავებული პრემია და გამოუმუშავებელი პრემიის 10%, ამასთან, არანაკლებ 50 აშშ დოლარის ოდენობით (მიმდინარე თარიღში დადგენილი ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად).

„დამზღვევის“ მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო „მზღვეველის“ მხრიდან სადაზღვევო პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტისას „დამზღვევი“ ვალდებულია დაუბრუნოს „მზღვეველს“ დაზღვევასთან დაკავშირებული

დოკუმენტაცია სრულად და გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული და სრულად გამოუმუშავებელი პრემია (თუ დაზღვევის პერიოდში მზღვეველის მიერ გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება). იმ შემთხვევაში, დაზღვევის პერიოდში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაცემულა, დამზღვევის მიერ გადაიხდება სრულად გამომუშავებული პრემია და გამოუმუშავებელი პრემიის 10%, ამასთან, არანაკლებ 50 აშშ დოლარის ოდენობით (მიმდინარე თარიღში დადგენილი ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად).

სადაზღვევო პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდამდე ან გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში ”მზღვეველი” თავისუფლდება ამ პოლისით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს ”დამზღვევს” წინამდებარე პოლისით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

#### **8. კანონმდებლობა და იურისდიქცია**

თქვენსა და ჩვენს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და იურისდიქციით.

#### **განსაზღვრებები**

**თქვენ** - დამზღვევი/დაზღვეული ან თანადაზღვეული

**ჩვენ** - სს “საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი”

**პოლისი** - დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი სადაც განსაზღვრულია დაზღვევის პერიოდი, ლიმიტები, ფრანშიზა, დაზღვეული რისკები და სხვა პარამეტრები. თქვენი სადაზღვევო სერთიფიკატი დაზღვევის პირობების ერთობლიობა, რითაც განისაზღვრება თქვენი დაზღვევის პარამეტრები და პირობები. **მესამე პირი** ყველა სხვა პირი გარდა მზღვეველისა, დამზღვევისა და თანადაზღვეულისა

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია** - ინფორმაცია რომელიც თქვენ გაქვთ ან უნდა გქონდეთ და რომელიც გავლენას იქონიებდა ჩვენზე მიგველო გადაწყვეტილება დაგვეზღვია ან არ დაგვეზღვია თქვენი რისკი და დაზღვევის შემთხვევაში გავლენას იქონიებდა პრემიის ოდენობაზე.

**საერთო ზარალი- საზღვაო გადაზიდვის დროს ქონების გადასარჩენად გაწეული დანახარჯი ან დანაკარგი**, რომელზეც ტვირთის მფლობელები პორპორციულად არიან პასუხისმგებლები.

**ნაღდი ფული- ქალაქის ბანკნოტები და მეტალის მონეტები**, სამოგზაურო და საბანკო ჩეკები, პლასტიკური ბარათები, ნებისმიერი სხვა ბარათი ან დოკუმენტი რომელიც საშუალებას აძლევს მფლობელს მიიღოს ფული, ნივთი ან მომსახურება.

#### **დამზღვევი**

-----